ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №გ-13.1324212
2024 წლის 30 ივლისი

ახალციხე

ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ანდრიაწმინდაში მდებარე სახელწოდების არმქონე ქუჩებისთვის სახელის მინიჭების თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტისა და ,,გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-7, მე-8 პუნქტების შესაბამისად,

1. ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ანდრიაწმინდაში მდებარე სახელწოდების არმქონე ქუჩებს მიენიჭოს სახელი:

ა) ქუჩა 10;

ბ) ქუჩა 11;

გ) მე-12 ქუჩის პირველი შესახვევი – თანდართული სიტუაციური ნახაზის მიხედვით, რუკის შესაბამისად.

2. განკარგულება რეაგირებისათვის გაეგზავნოს ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიას.

3. განკარგულება მიღებიდან 10 დღის ვადაში გაეგზავნოს:

ა) სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს;

ბ) სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს;

გ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს;

დ) საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

4. განკარგულება მიღებიდან 10 დღის ვადაში გამოქვეყნდეს სსიპ ,,საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე.

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.ა ხალციხე, მებაღიშვილის ქ. №60ა).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით ლომიძე